განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 11-12 ნოემბერი 2020წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 19/01/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების პირველი საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი,	აკრედიტებული საგანმანათლებლო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თარიღი)	პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #14; გადაწყვეტილება, 9/12/2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ დავითაშვილი. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქავთარაძე. სერთი ჯორჯია აღმასრულებელი დირექტორი და თანადამფუძნებელი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა 1995 წლიდან ხორციელდება სახელწოდებით „ინფორმატიკა“. აკრედიტაცია გაიარა 2011 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 9.12.2011 გადაწყვეტილება N.14). წარმოდგენილი პროგრამა სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“ ჩაანაცვლებს არსებულ პროგრამას, სადაც მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება განპირობებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის კლასიფიკატორის მიხედვით განხორციელებული ცვლილებებით.

პროგრამის ენა ინგლისურია. საბაკალავრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი (0613)**. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 25 საათი): აკადემიური წერა - 5 კრედიტი; კომპიუტერული მეცნიერებების სავალდებულო საგნები – 142 კრედიტი; კომპიუტერული მეცნიერებების არჩევითი საგნები - არანაკლებ 50 კრედიტი; თავისუფალი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) საგნები - 43 კრედიტი.

წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებიs (Information and Communication Technologies ICT) დარგის თანამედროვე მიღწევებს, ამზადებს სპეციალისტებს კომპიუტერული მეცნიერების კვალიფიკაციით, რომლებიც კონკურენტუნარიანები არიან როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 11-12 ნოემბერს. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 9 ნოემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2020 წლის 11 ოქტომბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან.

2020 წლის 12 ნოემბერს ვიზიტი გაგრძელდა Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთან, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან. შემდეგ განხორციელდა უნივერსიტეტში ვიზიტი, სადაც უშუალოდ ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები. ასევე მოხდა საბაკალავრო და პრაქტიკის ანგარიშების გადახედვა.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **პირველ სტანდარტს;**

- პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია არაერთგაროვნად - დეტალიზირებულად (1-ლი და მე-3 პუნქტი), განსხვავებით მე-2 პუნქტისაგან რომელიც მეტად ზოგადია. კერძოდ პირველ პუნქტში ნახსენებია „კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური მიმართულებები...“ და ჩამონათვალშა „მანქანური სწავლების მეთოდები“, რომელიც ერთი ვიწრო ქვემიმართულებაა. მე-3 პუნქტში აკადემიური განათლების შემდეგი საფეხურის ჩამოთვალში მითითებულია სპეციალობად “ხელოვნური ინტელექტი“ რომელიც ასევე კომპიუტერული მეცნიერების ერთერთი ცოდნის არეა და არა სპეციალობა; მე-2 პუნქტში მოხსენიებულია „თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევები“, თუმცა არაა დაკონკრეტებული რომელი ტექნოლოგიები იგულისხმება.
- პროგრამის შედეგების არწერაში:

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 7 პუნქტით, რომელთაგან უმრავლესობა წარმოდგენილია უფრო მეტად კონკრეტული საგნების შედეგების აღწერის სახით. გარდა ამისა რიგი შედეგები აღწერენ **„უნარს“:** 1-ლი პუნქტი მოიცავს ფარზას - „კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად“; მე-2 პუნქტი - „შეუძლია მათემატიკური თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება, ასევე შესაბამისი ფორმალიზმების გამოყენებით პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური მოწყობილობების ვარგისიანობის განსაზღვრა“; მე-3 პუნქტი - „შეუძლია კომპიუტერული პროგრამების დაგეგმვა, შექმნა, მომსახურება, ტესტირება და შეფასება“; მე-4 პუნქტი - „შეუძლია პრობლემის ალგორითმულად ჩამოყალიბება და რეალიზაცია პროგრამირების სხვადასხვა ენაზე“.

უნარი - წარმოდგენილია 2 პუნქტით. მე-8 პუნქტის მეორე წინადადებაში უნარები მოცემულია ჩამონათვალი კონკრეტული ცოდნის არეების მიხედვით, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია განზოგადობული უნარების აღწერით, პირველი წინადადების მსგავსად და ცალკე პუნქტად გატანით; მე-9 პუნქტი მოიცავს რამდენიმე უნარის ჩამონათვალს, რაც ასევე შეიძლება დაიყოს ძირითად ზოგად უნარებად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - ერთი პუნქტით წარმოდგენილ შედეგში საერთოდა არაა საუბარი აკადემიურ და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომელის გამომუშავება შესაძლებელია პროგრამაში არსებული რიგი საგნებით (აკადემიური წერა - პლაგიატთან მიმართებაში, ინფორმაციის უსაფრთხოების შესაბამისი საგნები - მონაცემთა დაცვის მიმართებაში და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს,** ვინაიდან პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, ხელს უწყობს სტუდენტების ინფორმირებას სათანადო საკითხებში, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს,** ვინაიდან პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად და სტაბილურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს,** ვინაიდან სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს უნივერსიტეტში დანერგილ და საუნივერსიტეტო დებულებებით განსაზღვრულ შიდა და გარე ხარისხის მექანიზმებს. უნივერსიტეტს გარდა „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების“ შემუშავებული აქვს დამატებითი დოკუმენტები „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ და „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომლებიც ზოგადად აღწერს სასწავლო პროგრამების შეფასების პროცედურას.

- **რეკომენდაციები**

➢ მიზნების აღწერაში:
  - ✓ 1-ლი და მე-3 პუნქტი ჩემოყალიბდეს ნაკლები დეტალიზირებით „კომპიუტერული მეცნიერების“ სპეციალობის ზოგადი მიზნის აღწერით;
  - ✓ მე-2 პუნქტში მოხდეს ტექნოლოგიური სფეროს ცხადი სახით ჩამოყალიბება;

- სწავლის შედეგების აღწერაში:
  - ✓ „ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები.
  - ✓ „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე.
  - ✓ „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.
- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად.
- ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის
- „კომპიუტერის არქიტექტურა“ გამდიდრდეს უფრო მეტი სიღრმისეული საკითხებით და გადაინაცვლოს ერთი სასწავლო წლით ზემოთ;
- მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან, კერძოდ:

  პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - ძირითადი საკითხები დაპროგრამების ენა Java-ს აღწერს;

  კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული საფუძვლები - ძირითადი საკითხები გამოთვლების საფუძვლებს და კომპიუტერულ ლოგიკას აღწერს;

  მონაცემთა ბაზები - მონაცემთა ბაზის შემუშავების პროგრამების აღწერაა;

  საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი - MS Project პროგრამული პაკეტის შესწავლაა;

  სემინარი - LaTeX სისტემა და მისი გამოყენება;

  კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2 - აღწერს კომპიუტერული გრაფიკული ელემენტების შემუშავების კონკრეტული პროგრამული ინსტრუმენტების საშუალებით;

  სტაჟირება - შინაარსით პროფესიულ პრაქტიკას უფრო შეესაბამება.
- განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
- მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები
- რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათის, ან სადაა შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის მოძიება.
- არჩევით კურსს „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ სასურველია დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სერვისები.
- სასურველია, ძირითად საგანთა ნუსხას დაემატოს პლათფორმაზე დაფუძნებული დაპროგრამება (ვებზე, მობილურზე და ა.შ.).
- სასურველია, გამოცდის მიმდინარეობისას ლექტორი არ ესწრებოდეს საგამოცდო პროცესს.
- სასურველია, მიღებული შეფასებები აისახოს საგამოცდო ცენტრში ნაშრომის დაბრუნების შემდეგ, ამ დრომდე კი სტუდენტთა ნამუშევრის ანონიმურობა იყოს დაცული.

- სასურველია, ლექტორების მხრიდან ინიციატივა ჩართონ სტუდენტები სხვადასხვა კონფერენციებსა და აქტივობებში;
- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში;
- სასურველია, სტუდენტები ჩართული იყვნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მაგალითად რეალურად იღებნენ მონაწილეობას თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში.
- სასურველია გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულების ვადა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მენეჯმენტის მდგრადობა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

2011 წლიდან დღემდე პროგრამაში განხორციელებულია მთელი რიგი ცვლილებები, დარგის სწრაფად განვითარებიდან გამომდინარე:

2014-2016

- დაემატა 5 კრედიტიანი არჩევითი სასწავლო კურსები - "შესავალი კომპიუტინგში", "კომპიუტერის არქიტექტურა" და „მობილური აპლიკაციები" .
- პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების სიას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „რიცხვითი ანალიზი", „მობილური კვლევის განვითარების პროექტი", „განაწილებული კომპიუტერული გამოთვლები", „მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება", „სკრიპტული ენები I", „შესავალი პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიაში" და „გამოთვლების გაძლიერებული კურსი: რობოტიკა" „ხარისხის მართვა პროგრამულ უზრუნველყოფაში", „Angular JS" „ღრუბლოვანი გამოთვლები", „ვებ აპლიკაციების დაპროგრამება ASP .NET MVC 5 ტექნოლოგიით", „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის საფუძვლები", „სახის ბიომეტრია და აპლიკაციები", „შესავალი კრიპტოგრაფიაში " და „პროექტის მართვის საფუძვლები".

2017

- პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან - კომპიუტერის არქიტექტურას - შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო.
- პროგრამაში ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა პროფესიული ინგლისური (5 კრედიტი) პირველ სემესტრში;

2020

1. პროგრამაში სავალდებულო გახდა ის კურსები, რომლებიც წარმოადგენენ კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფუნდამენტურ ნაწილს.
2. საწარმო პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი გახდა სავალდებულო კურსები.
3. საბაკალავრო პროგრამას დაემატა სემინარი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება.

4. მე-4 სემესტრში სავალდებულო გახდა პროფესიული ინგლისურის კურსის გავლა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზანი ეფუძნება შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტენდენციებს. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მიზანია: (1) კურსდამთავრებულებს მისცეს საფუძვლიანი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტურ და თანამედროვე მიმართულებებში, როგორიცაა კომპიუტერული მეცნიერებების მათემატიკური საფუძვლები, ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები, კომპიუტერული სისტემები, ქსელები და მათი უსაფრთხოება, მონაცემთა ბაზები, პროგრამული ინჟინერია, კომპიუტერის არქიტექტურა, ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების მეთოდები და სხვა; (2) საშუალება მისცეს კურსდამთავრებულებს უპასუხონ თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს, მოამზადოს საერთაშორისო დონის შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ დასაქმდნენ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში; (3) საშუალება მისცეს კურსდამთავრებულებს გააგრძელონ სწავლა აკადემიური განათლების შემდეგ საფეხურზე კომპიუტერული მეცნიერებების, კომპიუტერული ინჟინერიის, საინფორმაციო მეცნიერებების, ხელოვნური ინტელექტის და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალობებით. **პროგრამის მიზნებთან გვაქვს გარკვეული მოსაზრებები::** პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია არაერთგაროვნად - დეტალიზირებულად (1-ლი და მე-3 პუნქტი), განსხვავებით მე-2 პუნქტისაგან რომელიც მეტად ზოგადია. კერძოდ პირველ პუნქტში ნახსენებია „კომპიუტერული მეცნიერებების ფუნდამენტური მიმართულებები...“ და ჩამონათვალშა „მანქანური სწავლების მეთოდები“, რომელიც ერთი ვიწრო ქვემიმართულებაა. მე-3 პუნქტში აკადემიური განათლების შემდეგი საფეხურის ჩამოთვალში

მითითებულია სპეციალობად "ხელოვნური ინტელექტი" რომელიც ასევე კომპიუტერული მეცნიერების ერთერთი ცოდნის არეა და არა სპეციალობა. მე-2 პუნქტში მოხსენიებულია „თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევები", თუმცა არაა დაკონკრეტებული რომელი ტექნოლოგიები იგულისხმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი); o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია; o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: მიზნების აღწერაში 1-ლი და მე-3 პუნქტი ჩემოყალიბდეს ნაკლები დეტალიზირებით „კომპიუტერული მეცნიერების" სპეციალობის ზოგადი მიზნის არწერით. მე-2 პუნქტში მოხდეს ტექნოლოგიური სფეროს ცხადი სახით ჩამოყალიბება
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 10 პუნქტის სახით, რომელიც გადანაწილებულია სამ ჯგუფად.

ცოდნა და გაცნობიერება - წარმოდგენილია 7 პუნქტით, რომელთაგან უმრავლესობა წარმოდგენილია უფრო მეტად კონკრეტული საგნების შედეგების აღწერის სახით. გარდა ამისა რიგი შედეგები აღწერენ **„უნარს“:** 1-ლი პუნქტი მოიცავს ფარზას - „კურსდამთავრებულს შეუძლია კომპიუტერული მეცნიერებების სხვადასხვა დარგის მეთოდების ერთმანეთთან დაკავშირება კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად“; მე-2 პუნქტი - „შეუძლია მათემატიკური თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება, ასევე შესაბამისი ფორმალიზმების გამოყენებით პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური მოწყობილობების ვარგისიანობის განსაზღვრა“; მე-3 პუნქტი - „შეუძლია კომპიუტერული პროგრამების დაგეგმვა, შექმნა, მომსახურება, ტესტირება და შეფასება“; მე-4 პუნქტი - „შეუძლია პრობლემის ალგორითმულად ჩამოყალიბება და რეალიზაცია პროგრამირების სხვადასხვა ენაზე“.

უნარი - წარმოდგენილია 2 პუნქტით. მე-8 პუნქტის მეორე წინადადებაში უნარები მოცემულია ჩამონათვალი კონკრეტული ცოდნის არეების მიხედვით, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია განზოგადობული უნარების აღწერით, პირველი წინადადების მსგავსად და ცალკე პუნქტად გატანით; მე-9 პუნქტი მოიცავს რამდენიმე უნარის ჩამონათვალს, რაც ასევე შეიძლება დაიყოს ძირითად ზოგად უნარებად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - ერთი პუნქტით წარმოდგენილ შედეგში საერთოდ არაა საუბარი აკადემიურ და პროფესიულ პასუხისმგებლობაზე, რომლის გამომუშავება შესაძლებელია პროგრამაში არსებული რიგი საგნებით (აკადემიური წერა - პლაგიატთან მიმართებაში, ინფორმაციის უსაფრთხოების შესაბამისი საგნები - მონაცემთა დაცვის მიმართებაში და ა.შ.).

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციები და დებულებები, რომლებიც მოიცავენ პროცესის აღწერას, სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის მეთოდოლოგიის აღწრას. ამ დებულებების საფუძველზე „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამისათვის შექმნილი და წარმოდგენილია დოკუმენტი **„პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**“, რომელიც ზოგად სახეს ატარებს და არ მოიცავს **„საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის“** (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) მოთხოვნის შესაბამის ყველა დოკუმენტს, მათ შორის სწავლის შეფასების გეგმას; არაა გაწერილი შეფასების პერიოდულობა; არაა მითითებული არადამაკმაყოფილებელ შედეგზე რეაგირების პერიოდი და სხვა.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიით იგეგმება სამომავლოდ.

სასწავლო პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 1995 წლიდან ფუნქციონირებს ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა და მას ჩაანაცვლებს კომპიუტერული მეცნიერების ახალი საბაკალავრო პროგრამა. ეს ფაქტი მოითხოვს რიგ დაზუსტებას: თუ ხდება პროგრამის რეაკრედიტირება (რაც დადგინდა ინტერვიუების დროს და ასევე განაცხადში მოცემული სხვა ინფორმაციით), არაა წარმოდგენილი რაიმე სახით სწავლის შედეგების შეფასების ადრე მოქმედი მექნიზმი და შესაბამისი მონაცემები გარდა არაპირდაპირი შეფასებისა გამოკითხვების სახით. რაც

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების არგუმენტად ვერ გამოდგება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი), სილაბუსები; o ბაზრის კვლევის ანგარიში; o სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია IBSU.R36.I03E
რეკომენდაციები: • სწავლის შედეგების აღწერაში: „ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები. „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგიბრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე. „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი. • შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამისათვის, უნივერსიტეტში შემუშავებული წესების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაში „კომპიუტერული მეცნიერება“ მითითებულია რომ, „საბაკალავრო საგანმანათლებო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულოა ინგლისური ენის და მათემატიკის გამოცდების ჩაბარება. აქედან, ინგლისურში მოთხოვნილია 50%+1 ზღვრის გადალახვა. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე“. ჩანაწერი ზოგადი სახისაა და აღწერს ჩარიცხვის პროცესს საქართველოს მოქალაქეებისათვის, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მოითხოვს პირობების და პროცედურების დაზუსტებას. ასევე სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური

საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათის, ან სადაა შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის მოძიება. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საბაკალავრო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუს შედეგები o ვებ გვერდი
რეკომენდაციები: • ცხადი სახით გაიწეროს პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია მითითებული იყოს სწავლის საფასური საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათის, ან სადაა შესაძლებელი აღნიშნული ინფორმაციის მოძიება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია

პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის შესაბამისად (IBSU.R36.I2.G). საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლების საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი (სილაბუსებში აღწერილი თემების გათვალისწინებით) ძირითადად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის საერთო მოცულობაა 240 კრედიტი (1 ECTS – 25 საათი). მათ შორისაა: • აკადემიური წერა - 5 კრედიტი; • კომპიუტერული მეცნიერებების სავალდებულო საგნები – 142 კრედიტი; • კომპიუტერული მეცნიერებების არჩევითი საგნები - არანაკლებ 50 კრედიტი; • თავისუფალი (მათ შორის დამატებითი სპეციალობის) საგნები - 43 კრედიტი. სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია საგანი „კომპიუტერის არქიტექტურა“, რომელიც, როგორც წესი, უფრო მაღალი სემესტრის სტუდენტებისთვისაა რეკომენდირებული მეტი სიღრმით და საკითხების სიმრავლით. ამასთან კურსის შესწავლა მიმდინარეობს მხოლოდ სალექციო მეცადინეობების ფორმატით. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლის შედეგებში კომპიუტერის არქიტექტურის ცოდნა ერთერთი ცალკე მდგომი შედეგია, ამ სახით მისი მიღწევა გართულდება. სასწავლო გეგმაში ვებ დაპროგრამების შესაბამისი საგნები წარმოდგენილნი არიან არჩევით ბლოკში და წარმოადგენენ არჩევითი საგნების წინაპირობით აგებულ თანმიმდევრობას (ბლოკს). თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ პროგრამა აგებულია ACM რეკომენდაციების გათვალისწინებით. თანამედროვე მიდგომების და ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, პლადფორმაზე დაფუძნებული დაპროგრამება (ვებზე, მობილურზე და ა.შ.) ერთ-ერთი წამყვანი ტექნოლოგიაა და სასურველია ამ მიართულების საგნების ძირითად საგანთა ნუსხაში გადატანა. საგანთა დასახელება რიგ შემთხვევეში (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - ძირითადი საკითხები დაპროგრამების ენა Java, კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული საფუძვლები - გამოთვლების საფუძვლები და კომპიუტერული ლოგიკა, მონაცემთა ბაზები - მონაცემტა ბაზის შემუშავების პროგრამები, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი - MS Project, სემინარი - LaTeX სისტემა, კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2 - კომპიუტერული გრაფიკული ელემენტების შემუშავების პროგრამული ინსტრუმენტები, სტაჟირება - პროფესიული პრაქტიკა) არ შეესაბამებიან სილაბუსში აღწერილ შინაარსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია; o საგანმანათლებლო პროგრამა;

- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- „კომპიუტერის არქიტექტურა“ გამდიდრდეს უფრო მეტი სიღრმისეული საკითხებით და გადაინაცვლოს ერთი სასწავლო წლით ზემოთ;
- მოხდეს საგანთა დასახელებების სინქრონიზაცია სილაბუსების შიგთავსთან, კერძოდ:

  პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა - ძირითადი საკითხები დაპროგრამების ენა Java-ს აღწერს;
  კომპიუტერული მეცნიერებების თეორიული საფუძვლები - ძირითადი საკითხები გამოთვლების საფუძვლებს და კომპიუტერულ ლოგიკას აღწერს;
  მონაცემთა ბაზები - მონაცემთა ბაზის შემუშავების პროგრამების აღწერაა;
  საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტების მენეჯმენტი - MS Project პროგრამული პაკეტის შესწავლაა;
  სემინარი - LaTeX სისტემა და მისი გამოყენება;
  კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2 - აღწერს კომპიუტერული გრაფიკული ელემენტების შემუშავების კონკრეტული პროგრამული ინსტრუმენტების საშუალებით;
  სტაჟირება - შინაარსით პროფესიულ პრაქტიკას უფრო შეესაბამება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ძირითად საგანთა ნუსხას დაემატოს პლატფორმაზე დაფუძნებული დაპროგრამება (ვებზე, მობილურზე და ა.შ.).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება

პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგთან. პროგრამის სწავლის შედეგების რუკა იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას და რა ხარისხით - გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება თითოეული კურსის სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სასწავლო კურსის შინაარსთან, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსში განსაზღვრული თემატიკით. სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სილაბუსის თემატიკას და უზრუნველყოფს სტუდენტებს თემატიკასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციით, თუმცა რიგ სილაბუსებში მითითებულია ძალიან მოძველებული ლიტერატურა „პროგრამირების პარადიგმები“, „ობიექტზე ორიენტირეუბული დაპროგრამება“, „პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა“ და სხვა. სასწავლო კურსის თემატიკა დაძლევადია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში კურსისთვის დათმობილი სათანადო მოცულობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებით და სილაბუსში ლექტორის მიერ განსაზღვრული სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდებით.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად ლექტორების მიერ თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია სწავლება-სწავლის მეთოდები. პროგრამის სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსში. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა ყოველი სემესტრის დაწყებამდე ხდება პროგრამაში არსებული კურსების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი განახლება დარგში მომხდარი სიახლეების/მიღწევების ანალიზის საფუძველზე.

სამომხმარებლო ბაზარზე დღეს დიდი მოთხოვნაა NoSql მონაცემთა ბაზების მცოდნე სპეციალისტების, ამიტომ ეს საკითხები სასურველია დაემატოს მონაცემთა ბაზების კურსს.

არჩევითი ასწავლო კურსი “ღრუბლოვანი გამოთვლები” იხილავს მხოლოდ და მხოლოდ Microsoft Azure- ს და არსად არ სჩანს სხვა ღრუბლოვანი სისტემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;

- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- განახლდეს რიგ სილაბუსებში („პროგრამირების პარადიგმები“, „ობიექტზე ორიენტირეებული დაპროგრამება“, „პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა“ და სხვა.) ძირითადი სასწავლო ლიტერატურა
- მონაცემთა ბაზების კურსს დაემატოს NoSql მონაცემთა ბაზების საკითხები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არჩევით კურსს „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“ სასურველია დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სერვისები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამაში შემავალი კურსები მრავლად ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ

სასწავლო კურსებს. აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების და დავალებების შესრულებით, ასევე სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ძირითად სასწავლო კურსად „სტაჟირება“, რაც გულისხმობს სტაჟირებას მენტორის ზედამხედველობის ქვეშ და დახმარებით, რომელიც მას აძლევს საშუალებას განავითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებით, ხელი შეუწყოს სამუშაო გარემოში მის ადაპტაციას, სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშებას და ახალი კომპეტენციების გამომუშავებას, ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები. სტაჟირების შემთხვევაში თითოეულ სტუდენტზე ინდივიდუალურად ხორციელდება პრაქტიკის ხელშეკრულების გაფორმება დამსაქმებლებთან, სადაც მითითებულია, რომ პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა ითვალისწინებს სილაბუსით განსაზღვრულ ვადას. დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტები ასრულებენ საბაკალავრო ნაშრომს, რომლის მიზანია სტუდენტმა სტუდენტებმა შეიძინონ საბაკალავრო დონის შესაბამისი კვლევის უნარები, შეძლონ განახორციელონ ლიტერატურის მოპოვება და ანალიზი, მოახდინონ მოპოვებული მონაცემების ანალიზი, სინთეზი, შედარება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე გადამოწმდა საბაკალავრო ნაშრომები და სტაჟირების ანგარიშები, რომელებშიც დაცულია ნაშრომის სტრუქტურა უნივერსიტეტში არსებული „საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის“ (R03I13) შესაბამისად. აღნიშნული კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას და ხელს უწყობს სტუდენტების ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა o სილაბუსები o საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია o საბაკალავრო ნაშრომის და სტაჟირების ანგარიშები o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

სტაჟირების კომპონენტის გადატანა არჩევითი ბლოკიდან ძირითად სასწავლო ბლოკში.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამისება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებას. პროგრამაში აღწერილ საგნებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. "სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. აღნიშნული მიმართებები დასტურდება სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან გასაუბრების შემდეგ, ასევე სტუდენტების შეფასებების მიხედვით, მათი დასაქმების მაჩვენებლით, რომელიც მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად შეადგენს 90 პროცენტს.

სტუდენტებთან გასაუბრებისას ყველამ აღნიშნა, რომ პროგრამა მოსწონთ და სტუდენტების უმეტესობა ამ პროგრამას წარმატებით ამთავრებს. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სწავლა სწავლების მეთოდები, რომლებიც ასახულია, როგორც პროგრამაში ასევე სილაბუსებში მათთვის მისაღებია. პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში.

პროგრამას აქვს სწავლა სწავლების შედეგების შეფასების მეთოდი პირდაპირი და არაპირდაპირი. არაპირდაპირი მეთოდის შეფასების პროცესში, როგორც გასაუბრებიდან გაირკვა სტუდენტები ჩართულები იყვნენ გამოკითხვაში და თუ რაიმე პრობლემა შექმნიათ სწავლასთან ან/და პროგრამასთან მიმართებაში ადმინისტრაცია სრულად მზადყოფნაშია, რომ სტუდენტის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- საბაკალავრო პროგრამა, სილაბუსები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02), ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით,

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა.

სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები. სასწავლო კომპონენტების შუალედური/დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მარეგულირებელი წესის მიხედვით არ უნდა იყოს შესაბამისი შეფასების მაქსიმალური ქულის 20%ზე ნაკლები.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას არ არის დაცულია ანონიმურობის პრინციპი. პროფესორს საგამოცდო ნაშრომი გადაეცემა სტუდენტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით, აგრეთვე გასაუბრებიდან დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საგნის ლექტორი ესწრება საგამოცდო პროცესს. საგამოცდო ნაშრომის შესწორების პროცესში სტუდენტის იდენტიფიკაცია წარმოადგენს რისკს ობიექტურობისა და მიუკერძოებულობის თვალსაზრისით. გასწორებული ნაშრომს, სტუდენტთან უკუკავშირის დამყარების მიზნით, ლექტორი სტუდენტს აცნობს შუალედურ შეფასებებს და მასთან ერთად განიხილავს ნამუშევარს. გამოცდის შედეგები არაუმეტეს ხუთი კალენდარული დღისა აისახება ლექტორის მიერ სისტემაში. სასწავლო კურსის მარეგულირებელ წესსა და სილაბუსებში სტუდენტის მიერ FX-ის მიღების შემთხვევაში, აღწერილია დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა.

სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის შედეგი გაასაჩივროს შესაბამის ფაკულტეტზე განცხადების დაწერის გზით, გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან ორი კალენდარული დღის ვადაში. ფაკულტეტის საბჭო ქმნის კომისიას საგამოცდო ნაშრომის ტექნიკური შემოწმებისათვის, მისი ხელახალი შეფასების გარეშე. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- პროგრამის სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „გამოცდების ჩატარების წესი“;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: ➢ რეკომენდირებულია, გამოცდის ჩატარების პროცესში დაცული იყოს ანონიმურობის პრინციპი და სტუდენტთა იდენტიფიცირება არ მოხდეს საგამოცდო ნამუშევრის შემოწმებისას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველია, გამოცდის მიმდინარეობისას ლექტორი არ ესწრებოდეს საგამოცდო პროცესს. ➢ სასურველია, მიღებული შეფასებები აისახოს საგამოცდო ცენტრში ნაშრომის დაბრუნების შემდეგ, ამ დრომდე კი სტუდენტთა ნამუშევრის ანონიმურობა იყოს დაცული.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): 0
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, დასაქმებისა და კარიელური განვითარების ხელშეწყობის შესახებ, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შესახებ. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც იძლევა საშუალებას, რომ სტუდენტები მუდმივად ეცნობოდნენ მიმდინარე სიახლეებს. სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომლის დროსაც ეცნობებათ უნივერსიტეტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია. ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნულ შეხვედრაზე მიიღეს ინფორმაცია საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში არსებობს კოორდინატორის შტატი, რომელიც ეხმარება სტუდენტს საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია საერთაშორისო უნივერსიტეტისთვის, რადგან პირველადი ადაპტაცია არაადგილობრივი სტუდენტისთვის იყოს მოსახერხებელი. უნივერსიტეტში არსებობს ელექტრონული საინფორმაციო (Smart და MYIBSU) სისტემები, აღნიშნულ სისტემაში ხდება ყველა სტუდენტის რეგისტრაცია, MYIBSU-ს მეშცეობით ხორციელდება მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ხოლო Smart-ზე იტვირთება ელექტრონული სასწავლო მასალები და სილაბუსები. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ არსებობს საერთო საცხოვრებელი, რომელიც განკუთვნილია საერთაშორისო სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერებიასას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სხვადასხვა სტუდენტური აქტივობებსითვის განკუთვნილ ადგილებს რაც ხელს უწყობს მათ აქტიურ განვითარებას. სტუდენტთა გასაუბრებიდან ირკვევა, რომ ინფორმირებულები არიან სხვადასხვა აქტივობების შესახებ, თუმცა ნაკლებად იღებენ მონაწილეობას. გაცილებით ნაკლებია აქტიურობა საერთაშორისო აქტივობებში.

ინტერვიუს დროს გამოიკითხა თვითშეფასებაში ჩართული სტუდენტი თუმცა ის ნაკლებად ინფორმირებული იყო იმ სამუშაოს დეტალებზე რის შესახებაც იმუშავა.

- **მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო დისციპლინების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ლექტორების მხრიდან ინიციატივა ჩართონ სტუდენტები სხვადასხვა კონფერენციებსა და აქტივობებში;
- სასურველია, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა ხელშეწყობა/მოტივირება ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობებში;
- სასურველია, სტუდენტები ჩართული იყვნენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მაგალითად რეალურად იღებნენ მონაწილეობას თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია და ასევე, შიდა რეგულაციებით არის განსაზღვრული. უნივერსიტეტმა წარმოადგინა: „სტრუქტურული ერთეულების დებულებები“ და „შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესი“, სადაც დეტალურადაა აღწერილი უნივერსტიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით სამუშაო აღწერილობები; აკადემიური და მოწვეული პერსონალის „შრომითი ხელშეკრულების ნიმუში“ და „აკადემიური ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები“, სადაც აღწერილია აფელირების, დატვირთვის, საქმიანობის შეფასების და სხვა პირობები.

წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: 14 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ნამდვილად პროფესიონალი მოწვეული კადრებით არის დაკომპლექტებული პროგრამა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აქცენტი კეთდება პროგრამაში აფელირებული აკადემიური პერსონალის მეტად ჩართულობაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორების შეფასების კითხვარი. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების წლის ანგარიშის დოკუმენტის მიხედვით არ იკვეთება ლექტორთა კვალიფიკაციის ნაკლებობასთან დაკავშირებული

საკითხები, რას ასევე დაადასტურეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრების დროს.

პერსონალის დატვირთვის სქემის თაობაზე წამოდგენილ იქნა დოკუმენტი „აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულება“. აკადემიური დატვირთვა მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებს და პროგრამის განვითარების პროცესებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას.

განახლებული თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტის თანახმად კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის აფელირებული პროფესორი. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ბრძანება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშნვის შესახებ, თუმცა უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა არ ხდება ბრძანების საფუძველზე და წარმოადგნა პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულება დათარიღებული 08/09/2020 და ხელშეკრულების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 08/09/2021.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საკმაოდ კარგი სამეცნიერო/პედაგოგიური გამოცდილება, რაც აისახება მის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო ნაშრომებსა და საერთაშორისო კონფერენციებში. ინტერვიუებიდან დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- სტუდენტთა გამოკითხვები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ხელშეკრულების ნიმუშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გაიზარდოს პროგრამის ხელმძღვანელთან დადებული ხელშეკრულების ვადა, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის მენეჯმენტის მდგრადობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები IBSU.R36.I1G“, რომელიც ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას. სტუდენტების მიერ ელექტრონული პორტალის საშუალებით (sis) ყოველსემესტრულად ხორციელდება ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, ლიტერატურის, სასწავლო კურსის სილაბუსთან შესაბამისობის ა.შ. გამოკითხვები. გამოკითხვების ანალიზს პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად აცნობს პერსონალს.

უნივერსიტეტში არსებობს „აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება“, რომლის თანახმადაც აფელირებული აკადემიური პერსონალის წახალისების თანხა შეადგენს 3000 ლარს და აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს გამოიყენის იგი სამეცნიერო ღონისძიების, სტატიის გამოქვეყნების, წიგნის გამოცემისათვის და სხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. აქვთ საერთაშორისო პუბლიკაციები.

პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი აკადემიურ პერსონალს სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას უცხოეთის უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს (ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები IBSU.R36.I1G;
- ინტერნაციონალიზაციის შესახებ ანგარიში;
- აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულება;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა (2018-2025);
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ვიზიტისას შეამოწმა კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც დოკუმენტურად, ასევე უშუალოდ ვიზიტით, კერძოდ, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები და სააუდიტორიო სივრცე. ყველა სააუდიტორიო ოთახი აღჭურვილია პროექტორით და ყველა სხვა საჭირო რესურსით. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკით. უნდა აღინიშნოს, რომ ONLINE სწავლებაზე

გადასვლის შემთხვევაში, თუ სტუდენტი საჭიროებს კომპიუტერს, უნივერსიტეტი მათ საკუთარ მფლობელობაში გადასცემს ლეპტოპს. ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს მოთხოვნებს და იქ შექმნილი გარემო არის შესაბამისი. უნივერსტიტეტს გააჩნია სამედიცინო ოთახი პირველადი დახმარებისთვის, კაფეტერია და სპორტული დარბაზი. ინტერიუებისას გამოიკვეთა სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილება არსებულ რესურსებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი; o რესურსების ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; o ინტერიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ონლაინ სწავლებასზე გადასვლისას სტუდენტების უზრუნველყოფა კომპიუტერული ტექნიკით
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით მოწოდებული დოკუმენტი მოიცავს: შემოსავლის წყაროს და ხარჯვით ნაწილს. ძირითადად, ბიუჯეტის სტაბილურობას განაპირობებს სტუდენტთა გადახდები, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს: ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელფასის თანხებს; სამეცნიერო და კვლევით ხარჯებს, რომელიც მოიცავს კვლევითი კომპონენტის ხარჯებს და პროგრამისთვის საჭირო პროგრამული უზრუმველყოფის და წიგნადი ფონდის ხარჯებს; საგანმანათლებლო მხარდაჭერის ხარჯებს, რომელიც მოიცავს სტუდენტთა სამეცნიერო, შემოქმედებით და სოციალურ აქტივობებზე გამოყოფილ დაფინანსებას. ასევე გათალისწინებულია პროგრამის აკრედიტაციის და სხვა დანახარჯები.

პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა და პროგრამის მართვა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სახელმძღვანელო დოკუმენტი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019წ.). ამის მიხედვით მიხედვით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადამინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება, უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება, უნივერსიტეტის სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგების მონიტორინგი, მიმდინარე და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახდენს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს, ატარებს კვლევებს, აანალიზებს შედეგებს და ინფორმაციას აწვდის პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს.

როგორც აღვნიშნეთ 1-ლი სტანდარტის 1.2 პუნქტის არწერაში უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციები და დაბულებები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფა. ზოგადი სახის „კომპიუტერული მეცნიერების“ საბაკალავრო პროგრამისათვის შექმნილი და წარმოდგენილი დოკუმენტი „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, არ მოიცავს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის“ (დოკუმენტის No: IBSU.R36I3.G) მოთხოვნის შესაბამის ყველა დოკუმენტს, რითაც შეიძლება

აიხსნას ის ფაქტი, რომ ჯერ ჯერობით არ განხორციელებულა პროგრამის შეფასება.

როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის სწავლის შედეგების მართებულობისა და მიღწევადობის შეფასების მიზნით გათვალისწინებული იქნება სწავლის შედგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენება. შეფასება მოხდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემების დამუშავების გზით. სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდის შემთხვევაში ხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი პროგრამაში განსაზღვრული შეფასების მეთოდების საშუალებით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დაკვირვება და ანალიზი მოხდება დინამიკაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გზით. ანალიზის დროს გამოიყენება გაუსის ნორმალურ განაწილებისთან შედარება. ნორმალური განაწილების დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი. იგი აგრეთვე გადაიხედება იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტთა 35%-ზე მეტი მიიღებს არადამაკმაყოფილებელ (F) შეფასებას.

აკადემიური მოსწრების ანალიზით და წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების გათვალისწინებით შემოწმდება კურსის სირთულის დონე, მოცულობის ადექვატურობა, შეფასების ფორმების მართებულობა, შინაარსი და სასწავლო პროცესის ორგანიზების სხვა თავისებურებები. სამიზნე ნიშნულებიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში, გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედგების შესაბამისობა სასწავლო კურსებთან შესაბამისი დონეების მითითებით წარმოდგენილია პროგრამაში.

პროგრამასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ეტაპების თანმიმდევრობაზე აკრედიტაციის ვიზიტის დროს იყო საუბარი.

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო ბროგრამა შედგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის მიხედვით (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019). ინსტრუქციაში გაწერილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, შესაბამისი სწავლის შედეგები. შემდეგ კი მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების წესი - საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილები, პროგრამის შეფასების, პროგრამის ცვლილებისა თუ გაუქმების წესები.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, რაც ასახულია შესაბამის ოქმებში. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველსემესტრულად მონიტორინგს უწევს სის და სმარტ ბაზებს. გარდა ამისა, სტუდენტები სპეციალური კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს, ლექტორებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური შეფასებაში 20%-მდე წილი უკავია სტუდენტების გამოკითხვიდან მიღებულ შეფასებებს. ლექციების ხარისხის შესამოწმებლად იყენებენ ლექციაზე დაკვირვება/დასწრების ფორმასაც. ამისთვის შემუშავებულია შეფასების სპეციალური ფორმები. როგორც დაწესებულებაში ვიზიტის დროს აღნიშნეს, ხდება ინფორმაციის მიეწოდება ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის კოორდინატორისთვის და მიღებული შეფასებების ანალიზის შედეგების გათვალისწინება სასწავლო პროცესის

გაუმჯობესების საქმეში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველკვირეულად ხვდება უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანებს და პროგრამის კოორდინატორებს და შეხვედრაზე ერთობლივად განიხილება საგანმანათლებლო პროცესის, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებასთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; o საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია; o შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრების განრიგები და დღის წესრიგი; o სააკრედიტაციო ვიზიტის ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის დებულებებს, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების პერიოდული ანგარიში წარედგინება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.

პროგრამის ხარისხის გარე შეფასების მიზნით ასევე მოხდა პროგრამის შეფასება პოტენციური დამსაქმებლების მიერ. შეფასების შედეგად მიღებული შედეგები გაანალიზა პროგრამის ხელმძღვანელმა და პროგრამის შემუშავებაში ჩართულმა პერსონალმა.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის შექმნის პროცესში პროგრამის კოორდინატორი ითვალისწინებდა მისი დასავლელი კოლეგების რეკომენდაციებსაც. კურიკულუმის საბოლოო ვერსია გადაგზავნილი იქნა დარგის ექსპერტებთან, კერძოდ ავსტრიის იოჰანეს კეპლერის სახელობის ლინცის უნივერსიტეტის და ტიმიშოარას დასავლეთის უნივერსიტეტის პროფესორებთან, რომლებმაც ის დადებითად შეაფასეს.

კომპიუტერული მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობის შესაფასებლად 2019 წელს უნივერსიტეტმა ასევე ჩაატარა ბაზრის კვლევა. განხორციელდა შემდეგი მონაცემების მოპოვება და გაანალიზება: ბოლო 5 წლის განმავლობაში, 2014 წლიდან, საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა, შესაბამის წლებში ჩარიცხვების სტატისტიკა, გარე და შიდა მობილობის მონაცემები, რაც გულისხმობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამიდან გადასული ისე ჩარიცხული სტუდენების რაოდენობას. გარდა აღნიშნული მონაცემების შესწავლისა ასევე მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის დაკვირვება. ასევე, დასაქ მების პორტალების შესწავლა (მოხდა 5 ყველაზე აქტიურად მოხამრებადი პორტალების შერჩევა და შესწავლა www.cv.ge, www.jobs.ge, www.myjobs.ge, www.hr.ge, www.hr.gov.ge,) და მათ მიერ კომპიუტერული მეცნიერების პროგრამებთან დაკავშირებული ვაკანსიების გამოცხადების სტატისტიკაზე დაკვირვება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უცხოელი დარგის სპეციალისტების შეფასებები;
- ბაზრის კვლევა, პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას და მათ შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციის მიხედვით (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 15/05/2019). პროცესს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამების შეფასება სამსახურის მიერ ხორციელდება წელიწადში ორჯერ მაინც. საგანმანათლებლო პროგრამები ასევე ფასდება უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მიერ. შეფასებების შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების/განვითარების მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით. გამოკითხვების გარდა, ყოველსემესტრულად მოწმდება უნივერსიტეტის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე Smart სილაბუსების და სასწავლო მასალების დროული ატვირთვის საკითხი, მოწმდება SIS ბაზაში შეფასების კომპონენტების და შეფასებების ატვირთვის დროულობა, ასევე სასწავლო კურსებში სტუდენტების შეფასების ქულების გადანაწილება.

პროგრამის ხელმძღვანელი ასევე უზრუნველყოფს პროგრამის ბენჩმარკინგს - შეისწავლის საერთაშორისო გამოცდილებას და პრაქტიკას, ახდენს პროგრამების შედარებას სხვა წამყვანი უნივერსიტეტების პროგრამებთან, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში და განვითარებაში უცხოელი ან საზღვარგარეთ მოღვაწე დარგის სპეციალისტების ჩართვას. თვითშეფასებაში მოყვანილია რიგი ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტების ჩამონათვალი, რომელთა პროგრამებთან თანხვედრაშია აღნიშნული პროგრამა. შეფასების შედეგების გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, თვითშეფასების განახლებულ დოკუმენტში პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით არის გარკვეული უზუსტობა. კერძოდ „პროგრამის ხელმძღვანელი მჭიდროდ თანამშრომლობს ავსტრიის, ბრაზილიის, გერმანიის, ესპანეთის, იაპონიის, პორტუგალიის, რუმინეთის და საფრანგეთის უნივერსიტეტებიდან, რაც დასტურდება მათთან თანაავტორობით გამოქვეყნებული სტატიებით“ - საუბარია ყოფილ პროგრამის ხელმძღვანელზე, რაც ასევე დადასტურდა გასაუბრების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • IBSU საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევები; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგების ანალიზი; • კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი (Benchmarking); • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გასწორდეს თვითშფასების ანგარიშში (პუნქტი 5.3) წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: კომპიუტერული მეცნიერება, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მანანა ხაჩიძე

თინათინ დავითაშვილი

გიორგი ქავთარაძე

თამარ ღუღუნიშვილი